



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www.tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

29 ივლისი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 39

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 122 ე მუხლის მე-4 და მე-5-ე პუნქტების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს გაცეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში, 3 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11413 კვ.მ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 393 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის ს/კ N47.11.01.180), მდებარე ქ.წალენჯიხა თამარ მეფის ქუჩაზე. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1300 ლარით.

2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ. ლაღიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  კორნელი სალია

